1973 ივნისი N6

ფიროკ

572
1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო! ამ ნახატებით თქვენი თანა-ბოლეები გილოცავენ ბავშვთა საერთაშორისო დღეს.

„თვითმფრინავი“—ნახ. თამაზ ლლონტისა, 9 წ. მახარაძე.

„ნატურმორტი“——ნახ. მარინე მოლიაძისა, 9 წ. თბილისი.

„მეგობრობა“——ნახ. ზურიკო კიკნაძისა, 6 წ. თბილისი.

„მთის ფერდობზე“——ნახ. ირმა ოდიშვილისა, 10 წ. თბილისი.

„ირემი“—ნახ. დათო ჭიპინაძისა, 6 წ. თბილისი.

„პეიზაჟი“ ნახ. ოთარ სარიშვილისა, 8 წ. თბილისი.



„ქართული“—ნახ. ნანა გვარამიანი, 6 წ. თბილისი.

12143

„სახლი“—ნახ. ნინა ცქვიტაიანი, 4 წ. ჩხოროწყუ.



„ლურჯლიანი დღე“—ნახ. გოთრგი ყაბარაულისა, 4 წ. თბილისი.

„ზარბაზანი“—ნახ. დათო თაგვაძისა, 6 წ. თბილისი.

„უკვავილი ქოთანში“—ნახ. მაია შევარდნაძისა, 5 წ. ...ბილისი.



„პეპელა“—ნახ. ავთანდილ სირბილაძისა, 11 წ. სოფ. ობჩა.

„დაე მუდამ იყოს მზე!„

მურამ ბახტაძე

ნახატი **რევაზ ცუცქირიძისა**

წიგნი, რომელზეც ახლა გიამბობთ, სტამბაში არ დაუბეჭდავთ. იგი არც მწერლის დაწერილია და არც მხატვრის დასურათებული. ეს წიგნი ოქტომბრელების ხელით არის დაწერილი, მასში მათი ლექსები და ნახატები, პატარა მოთხრობები და ფოტოსურათებია მოთავსებული.

„დაე, მუდამ იყოს მზე!"—ასე უწოდეს ამ წიგნს სოფელ აჭყვისთავის ოქტომბრელებმა. წიგნის ფურცლებზე დაწერეს, თუ რა არის მათი ნატვრა:

,,არასოდეს არ იყოს ომი!''—დაწერა ზურამ.

,,მინდა გამოვიგონო ისეთი წამალი, რომ ბავშვები ავად არ ხდებოდნენ,''—ინატრა ლელამ, რომელსაც ამხანაგები ხუმრობით ,,ექიმს'' ეძახიან.

,,ნეტავ ყველა ბავშვმა სულ ხუთებზე ვისწავლოთ და ამით დედიკო და მამიკო გავახაროთ''.—ეს სიტყვები პატარა გელას ეკუთვნის, ეს ის გელაა, უკრაინიდან სოფელში სტუმრად ჩამოსულ პიონერებს ქობულეთის რკინიგზის სადგურზე ყვავილების დიდი თაიგული რომ მიართვა. ეს იყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს 1 ივნისს.

ხელი ხელს ჩაჰკიდეს უკრაინელმა და ქართველმა ბავშვებმა და ზღვის ნაპირისაკენ გასწიეს. ბანაობით გული რომ იჯერეს, შემდეგ სველ სილაზე ხატვას შეუდგნენ. დახატეს ბევრი ყვავილი, ლამაზი სახლები და ხელიხელგადახვეული ბავშვები. ზემოთ კი, სულ ზემოთ—დიდი მზე, აი ზუსტად ისეთი, როგორიც ცის ტატნობიდან უღიმის ბედნიერ ბავშვებს.

შებინდებისას, ზღვის ნაპირას პიონერებმა მეგობრობის კოცონი დაანთეს. ოქტომბრელები მათთან ერთად ზეიმობდნენ და მღეროდნენ ყველა ქვეყნის ბავშვების საყვარელ სიმღერას: ,,დაე, მუდამ იყოს მზე!''

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუში

— რა ვიდრინო, ადარ ვიცი,
ჭეიჭის, ჭეიჭის თუთიყუში!
— თუ გაჩერდა, სოქ გაჩერდა,
თუ არა და,— თიოი ეურში!

მონადირე ძალლი

ჭარიელ ჭანგურია

— ეეფა გესმის? ამ-ამ!
— როგორ არა! ამ-ამ!
— წმინდა სისხლის სეტერია,
დღეს მაჩუქა მამამ.
წელს ვერ შეძლებს ნადირობას,
ბატარაა წელს,
გაისად კი მოგულხინოთ
კაკაბსა და ბუნერს.
— არ გაწყინოს, ზურიკელა,
ბუნერის და კაკბის ჯამაქ!
— ჯეკა, გესმის? დაგვცინიან!
— ამ-ამ! ამ-ამ! ამ-ამ!

ნახატები მანანა მორჩილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილო

დინ-დონ,
  დინ-დონ,
სპილო
  დადის
    თვი-
      თონ.

დონ-დინ,
  დონ-დინ,
    ძალე
      წავა
        სპილო
          შინ.

დინ-დონ,
  დინ-დონ,
    დაიძინებს
      თვი-
        თონ.

დონ-დინ,
  დონ-დინ,
    დაუჯდება
      თავი
        წინ.

წერო

ვიკი გეგეჭკორი

წეროჯ, თუკი უკან დარჩი,
რადად გინდა გრძელი კანჭი!
ჯერ გადადგი ერთი ფეხი,
ძერე კიდევ ერთი ფეხი,
ძერე კიდევ ერთი ფეხი,
ძერე კიდევ ერთი ფეხი,
ბოლოს
  წადგამ
    ნაბიჯს
      წინ

და
  იქნები
    უკვე
      შინ!

ნახატები **სოფიო ქინწარაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერი, ჰერი, აბა, ჰერი!

ვიტეზლავ ნეზვალიდან

აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!
იეო ერთი სახლის ჭერი
აეკსებული მტკვრით და ნაგვით,
იქ ცხოვრობდა ერთი თაგვი,
სოროს კლიტე ედო ძველი.
აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!

აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!
იეო ერთი სახლის ჭერი.
იქ ობობა მოთმინებით
ქწერს უცდიდა. შერე ფრთებით
ფართხალებდა ქსელში ქწერი.
აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!

აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!
იეო ერთი სახლის ჭერი.
იქ დასახლდა წუხელ ჭოტი,
ხან კეთილი, ხან ბოროტი.
არც ობობა და არც თაგვი
და არც თაგვის აქხანაგი,
არვინ დარჩა შეუჭმელი.
აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი!

ნახატები შაქრო შაორგიაძისა

ბაქია

გიორგი ნერეთელი

სანადირო დ ციდივართ
ტყეში მე და ძაძა,—
ღორებმა თქვეს:
— უჰ, უჰ!..
ძაღლებმა თქვეს:
— ამ, ამ!..
ბატებმა თქვეს:
— სი, სი!..
იხვებმა თქვეს:
— ვახ, ვახ!
დაიღვრება სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიოლინო

რეზო ჯეიშვილი

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

ირაკლი სკოლაში და მუსიკალურ სასწავლებელში ერთდროულად მიაბარეს. გაკვეთილებს კარგად სწავლობდა, მაგრამ მუსიკა არ უყვარდა. პიანინოს ისე უყურებდა, როგორც კატა ცივ უთოს.

მალე ირაკლი პედაგოგების რჩევით და მისივე ხვეწნა-მუდარით ვიოლინოს კლასში გადაიყვანეს. შესაფერი ვიოლინო ჩვენს ქალაქში არ აღმოჩნდა და ლენინგრადში შეუკვეთეს.

ერთ მშვენიერ დღეს ფოსტალიონმა ამანათი მოიტანა. ამანათი გახსნეს და ლამაზი კოლოფიდან ფრთხილად ამოიღეს პრიალა ვიოლინო. ირაკლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ ღამეს ვიოლინო საწოლში გვერდით მოიდო და ისე ეძინა. მეორე დღიდანვე შეუდგა მეცადინეობას, მაგრამ მალე მობეზრდა.

ახალი შემოდგომა იყო. არც ისე ძალიან ცხელოდა. უნდოდა თუ არ უნდოდა, ირაკლი საათობით იდგა ღია ფანჯარასთან და ვიოლინოს აწრიპინებდა. მისი ტოლები ეზოში ბურთს თამაშობდნენ. პატარა მუსიკოსს ვიოლინოს ხმა და ბავშვების ჟრიამული ერთდროულად ესმოდა. მეცადინეობას გულს ვერ უდებდა. თვალი ეზოსკენ გაურბოდა და საერთოდ, თვლიდა, რომ ძალიან უსამართლოდ იჩაგრებოდა.

ერთხელ შინ მარტო დატოვეს. მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა, უცბად გაახსენდა, რომ მარტოდმარტო იყო. წამოხტა, ღია ფანჯრიდან გადაიხედა. ეზოში ერთი ბავშვიც ვერ დალანდა. ალბათ ყველა მეცადინეობდა და სათამაშოდ არავის ეცალა. ირაკლიმ ოთახები შემოირბინა. იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა. ძველი სათამაშოებიც გამოძებნა, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო და მოიწყინა. შუა ოთახში დადგა, დაფიქრდა. ოთახში სიგრილე და სიწყნარე იყო. სადღაც ქერთან უმისამართოდ შემოხეტიალებული ბუზი დაბზუოდა.

— „სტარი ადიოჟდ!"—დაიძახა ვიღაცამ ეზოში.

ირაკლი ფანჯრის რაფას მუცლით შეახტა და კვლავ ეზოში გადაიხედა. ცარიელ ეზოში ვიღაც კაცი იდგა. რომელსაც დიდკოზიროკიანი ქუდი ეხურა. მართალია, ცხელოდა, მაგრამ ლურჯი „პლაშჩი" ეცვა და ზურგზე სუფთა ტომარი ჰქონდა მოგდებული. იდგა და დიდი სახლის ცარიელ შუაბანდებს ათვალიერებდა.

— ძია, ამოდი, ამოდი!—დაუძახა ირაკლიმ.

კაცმა ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცი ამოი-

ღო და ოფლით დაცვარული მელოტი თავი შეიმშრალა. მერე ქუდი დაიხურა, ირაკლის ცალი თვალით უნდობლად ახედა და წვრილი ხმით იყვირა:

— „სტარი ადიოჟდ!“

— ძია, ამოდი, ამოდი!—ხელმეორედ ჩასძახა ირაკლიმ.

მეძველემ ცოტა ხანი კიდევ შეიცადა და, როცა მაინც არავინ გამოეხმაურა, ისევ ირაკლის მიუბრუნდა, ხელით ანიშნა, მოვდივარო.

ირაკლი ფანჯარას მოშორდა. სადარბაზოს კიბეზე უკვე მეძველის ფეხის ხმა ისმოდა. ირაკლიმ კარადაში მიგდებული და მივიწყებული ქუდი ამოქექა, გაფერთხა და მეტი ავტორიტეტისათვის თავზე დაიხურა. მეძველეს კარი გაუღო. მეძველემ კისერი დაიგრძელა, ღია კარში შეიხედა, იმ ახლომახლო ირაკლის გარდა რომ ვერავინ შენიშნა, შეყოყმანდა და ოთახში მოგვიანებით შევიდა.— მარტო ხარ, შვილოსა?

— დიახ, მარტო ვარ...—უთხრა ირაკლიმ.

— ვა!..—გაუკვირდა მეძველეს.

— ძია, ვიოლინოს არ იყიდი? —ჰკითხა ირაკლიმ.

— რასა?

— ვიოლინოს...

— ვიოლინოს?!

ირაკლი ოთახში შებრუნდა, პიანინოს თავზე შემოდებული ვიოლინო ჩამოიღო და

მეძველეს გამოურბენინა. მეძველემ ტომარი ძირს დადო. ბავშვს ვიოლინო გამოართვა, დახედა, უყურა, უყურა, შეატრიალ-შემოატრიალა, გვერდიდან თითი მიუკაკუნა.

— ვისია ესა?

— ჩემია...

— მერე ეს შენ რად გინდა?

— ვუკრავ...

— ვა!..—გაუკვირდა მეძველეს, თავი გააკანტურა, ვიოლინო პატრონს დაუბრუნა და ტომარას დაწვდა.

— ძია, არ იყიდი?!—შეწუხდა ირაკლი.

— კაცო, სადაა შენი დედა ან მამა?

— შინ არ არიან.

— აბა, ისე როგორ?!.

— მე დამიბარეს, თუ მეძველე ჩამოიველის, ვიოლინო მიყიდეო...

— ვა!—თქვა გაოცებულმა მეძველემ. ტომარა ისევ ძირს დადო, ირაკლის ვიოლინო ხელმეორედ გამოართვა, ხელში ატრიალა, თითი უკაკუნა, უყნოსა.

— მაშ, გაყიდეო, გითხრეს?

— გაყიდეო, მითხრეს...

— მერე როგორ გაყიდეო, არ უთქვიათ... ამაში მე ახლა რა უნდა მოგცე?..

ირაკლი დაიბნა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ღირდა ვიოლინო. ფული სულაც არ უნდოდა, ფულს იქით გადაიხდიდა, თუ ვიოლინოს მოაშორებდნენ.

მეძველემ ვიოლინო ტომარაში ჩადო, ჯიბიდან ხურდა ფულები ამოიღო, ირაკლის მუჭში ჩაუყარა და წავიდა.

ირაკლიმ ფულები მაგიდაზე დაყარა. თვალა და თვალა, ვერა და ვერ დააზუსტა, რა სიმდიდრის პატრონი იყო.

მზე უკვე ფანჯრებს ჩამოხსნოდა და ირაკლი მიხვდა, რომ მშობლების მოსვლის დრო იყო. დედ-მამა ფულს ნახავდა, ყველაფერი გაირკვეოდა. იფიქრა, ფულს ჩანთაში დავმალავო, მაგრამ ვერ გაბედა. დაიარა ოთახები, აბაზანა, საკუჭნაო. ვერა და ვერ მიაგნო საიმედო სამალავს. ბოლოს ტახტის ქვეშ შეფოფხდა, მამის ძველთაძველი ფეხსაცმელი გამოძებნა და ფულები შიგ ჩაყარა. წამოდგა, მაგიდას მიუჯდა და მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ სწავლას გული ვერ დაუდო. მამამ რომ ამ საღამოს სწორედ ის ძველთაძველი ფეხსაცმელი მოიკითხოს! მაშინ?

ირაკლის ბევრი აღარ უფიქრია, დანა აიღო, თავისივე ქუდის სარჩული გაჭრა, შიგ ხურდა ფული ჩაყარა და, ქუდი თავზე ჩამოიფხატა, დამშვიდდა.

მალე ბებია გამოცხადდა. მერე დედ-მამაც მოვიდა. მამას სამსახურში საწყენი ამბავი შეხვედროდა და ხასიათზე ვერ იყო. ირაკლიმ ეს იმწამსვე იგრძნო.

— რატომ ახურია ამ ბავშვს ამისისქე ქუდი? — შემოსვლისთანვე იკითხა დაფიქრებულმა მამამ. ირაკლის თითქოს არაფერი გაუგონია, ფანჯრისაკენ მიტრიალდა. მამა რაღაც საქმით გაერთო. ირაკლი კისერგაშეშებული დადიოდა ოთახში. თავი ისე დაუმძიმდა თითქოს ზედ ლოდი ედო.

მალე სადილად დასხდნენ.

— ეს ბავშვი ქუდს რატომ არ იხდის?

იკითხა მამამ ჭამის დაწყების წინაც.

ირაკლი მოიღუშა და თეფშს დააშტერდა.

— ჭამის დროს, ბებია, ქუდი უნდა მოიხადო!—ასწავლა ბებიამ.

ირაკლიმ ბებიას ისე შეუბღვირა, ქალს კინაღამ გული წაუვიდა.

— ქუდი მოიხადე, ახლავე!—დატუქსა დედამ შვილი და თვითონ სამზარეულოში გავიდა.

ირაკლი არც ჭამდა, არც ხმას იღებდა და არც ქუდს იხდიდა. ამასობაში დედამ ახალი კერძი შემოიტანა და ირაკლი ყველას მიავიწყდა.

— ...მერე დირექტორს შენთან რა უნდოდა, რა შენი ბრალი იყო?..—ხმადაბლა ჰკითხა დედამ მამას.

— რა ვიცი, რა უნდოდა!..—განერვიულებულ მამა, ირაკლის ქუდს ხელი დასტაცა და იატაკზე დაახეთქა. ქუდიდან ხურდა ფულები გადმოცვივდა და ოთახში ბზრიალ-ბზრიალით გაიფანტა. ყველანი მობზრიალე ფულებს მიაჩერდნენ. სანამ ვინმე გაარკვევდა, რა უნდოდა ქუდში ფულს, ირაკლიმ პირი დააღო და საშინელი ღრიალი მორთო. მამა შეწუხდა, იფიქრა, რა ატირებს, ფულს ორი ამდენს მივცემო, მაგრამ რა იცოდა, რომ ირაკლი ფულს კი არა, დაკარგულ ვიოლინოს მისტიროდა.

ირაკლი ახლა დიდი კაცია, როცა ამ ამბავს გაიხსენებს, ეღიმება, აგონდება დაკარგული ვიოლინო და გული წყდება, რომ მუსიკას ვერ შეეწყო და უსწავლელი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამჭრიახი და მატყუარა

ზაქარია შერაზადიშვილი

გამჭრიახი
გოგი გახლავთ,
ტუილებში
გივი ჯაბნის,
მას რომ ჰკითხოთ,
შინ ცხენივით
ჰყავს დაბმული
დირიჟაბლი...

ვაშლმა

— რა ატირებს ლაშას?
— კბილი მოსჭრა ვაშლმა,
დასცინიან ტოლნი:
„ვაშა, ლაშა, ვაშა!“
რადგან კბილი ლაშას
მიტომ
მოსჭრა
ვაშლმა,
რომ არ ესმის ყურში
გაწყრომა და დაშლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭინკა

ისე,
როგორც
ჭინკა,
ხეზე ავა ნიკა;

მოეკვლება წვეროს,
გეგონება წერო...
არ
დაიშლის
მაინც,
რაც ან უნდა ვწერო.

გალი

ავად იყო დალი,
მოესურვა
ბალი,
ნინოს
დედამ
დალის
მოუკითხა ბალი.

რომ მიიროვა ბალი,
უკეთ
გახდა
დალი,
გარეთ უწევს გული,
კარში რჩება თვალი.

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენკრა ტკბილია

ლოდო ეადაჭკორია ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ტყეში კენკრა დამწიფდა. კენკრა ტკბილია და წუწკი ბელი თავს ვერ იკავებს. გაუტკბა კენკრის სუნნა, გაჰყვა, გაჰყვა და გზაც დაკარგა, დედაც დაკარგა.

აბლავლდა ბელი და შეშინებული თავქვეზე დაეშვა. ნარს გამოედო და დაენარცხა, მიწას გაეკრა და გაირინდა.

იტირებდა, მაგრამ არ ეხერხებოდა. ერთი ბურდღუნი შეეძლო და აკი აბურდღუნდა კიდეც.

ნეტავი სად არის დედაჩემი,—ფიქრობდა.

ბოლოს ძალლების ყეფა შემოესმა და უკან წაძუნძულდა. ასე წინ და უკან დაბოტებდა, მაგრამ დედა მაინც არ ჩანდა.

დაღამდა. უფრო მოენატრა დედა... შესცივდა;—რა კარგია დედის მუუდრო უბე და თბილი რძეო,—ფიქრობდა.

გათენდა და აკრიალდა ცვარი სამყურაზე. ფუტკარი აზუზუნდა ვარდისფერ ყვავილზე. დაბლა ქვიდან-ქვაზე გადადიოდა კამკამა რუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად ხმაური გაისმა, „დედა მოდისო“!— ფეხზე წამოვარდა ბელი.

— რაო, დრუნჩავ, რამ შეგაშინა.—გამოელაპარაკა ადამიანი და ბელი გულზე მიიხუტა.

ბელი რაღაცას ბურდღუნებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

— ჰო, შე ტიალო, შენა, როგორ დამისველე ტანისამოსი!—გაბრაზდა კაცი, მაგრამ ბელისთვის ხელი არ უშვია.

მსუქანსა და ჩამრგვალებულ ბელს გიშრის მძივებივით უგორავდა თვალები. მობრეცილი ფეხი მეორეზე გადაედო, წინა თათებით ყელზე შემოხვეოდა და სველი დრუნჩი კაცის კისერში ჩაემალა.

კაცმა ბელი თავის ეზოში მიიყვანა. ატყდა ერთი აურზაური. მონადირე ძაღლები ჯაჭვებს გლეჯდნენ. სიბრაზისაგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ, ხმაჩახლეჩილი ყეფდნენ.

ბავშვები გარს შემოეხვივნენ ბელს.

„ესენიც ამასა ჰგვანან, ოღონდ უფრო პატარები არიან!“—გაიფიქრა ბელმა და ცალი თვალით გადმოხედა ბავშვებს.

— ხმა!—დაუტატანა პატრონმა ძაღლებს,—ნადირი არ გინახავთ, თქვე სამგლეებო?!

— ნადირი როგორ არ გვინახავს,— უთხრა ერთმა ძაღლმა მეორეს,—მაგრამ ეზოში მოსული და კაცის მკერდზე მიკრული?!

სად იყო, სად არა, დაშაქრული რძე მოურბენინეს. ბელი მადიანად სვლეპდა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა, ძლივს ატრიალებდა მსუქან კისერს.

„ბრიყვო“,—დაუძახა ძაღლმა და დაფრთხა ბელი, კაცთან მიძუნძულდა, მუხლზე აეკრა.

— რა იყო, შე საცოდავო,—დაუყვავა კაცმა და ძაღლი გააგდო.

— ნუ გეშინიანო.—დაუყვავეს ძაღლებმაც.

ხალამოთი ბელს თბილი სადგომი გაუკეთეს, მაგრამ მაინც დედა უნდოდა.

— დაიძინეო, ბრიყო!—ჭუჭრუტანაში შესძახა ძაღლმა.

— შენ, ეი! ბრიყვი ნუ შემარქვი, თორემ!..

— თორემ რა...

— ისა, რომ მოვა დედაჩემი... ისე ჩაგბუბნის, მგონი შენიანმაც ვეღარ გიცნოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაეცალე, ნადირია!—ურჩია უფრო ფრთხილმა ძაღლმა.

ასე ღამდებოდა და თენდებოდა. თვალზე ცრემლი არ შეშრობია ბელს, — დედა ენატრებოდა.

ძაღლებს პატრონისა ერიდებოდათ, ბელს ძაღლებისა ეშინოდა. თითქოს მშვიდობა იდგა ეზოში.

ერთხელ ბელი ამწვანებულ ეზოში გამოიყვანეს. კუთხეში პირთამდე წყლით სავსე როფი იდგა. წყალში ღილის მზე ისევე ლიცლიცებდა, როგორც რუში და ბელს თვალს სჭრიდა.

რა კარგი იყო, დედა რუში აბანავებდა, თან დასძახოდა: შენ—მსუქანი, კაცი—მჭლეო!

იქვე როფში თხელ ფაფას იხშივარი ასდიოდა. ბელს ნერწყვი მოჰგვარა მადიანმა სუნმა... ძაღლები მოუსვენრად ისხდნენ შორიახლოს საჭმელთან, მალიმალ აწკლაპუნებდნენ პირს. პატრონმა ბრძანა და ყველანი სათოფეზე დასხდნენ. ოჰ, რა სიამოვნებით გაბდღვნიდნენ ამ ფეხმონგრეულ სტუმარს?!

გაშინაურდა ბელი, მაგრამ სულ დედაზე ფიქრობდა... წყალში დედას ხედავდა, ბალახს დედის სუნი ასდიოდა, ღერძზე ტრიალის დროს დედის ხმა ესმოდა;—ფრთხილად, ტოტი არ ჩამოგიტყდესო!

ბელის დანახვაზე ქათმები კრიახებდნენ, იხვები ვიტ-ვიტებდნენ, გოჭები ჭყვიტინებდნენ, ცხენები ფრუტუნებდნენ, ლეკვები წკავწკავებდნენ. ის კი არხეინად დაბოტებდა ეზოში და გული ბოლმით ევსებოდა.

„რა თავში ვიხლი მაგის ფაფას. დედის რძე არ მირჩევნია?“—ფიქრობდა ბელი.—კენკრასა და თაფლს რა გამოლევს ტყეში. წაბლი და კაკალი გემრიელიაო, — მითხრა დედამ. ზღმარტლი და კუნელიც შემოვა ზამთრის პირზეო.—თავი ჩაქინდრა ბელმა.—ვითომ ცოტა რუ და წყარო მოჩუხჩუხებს ჩვენს ტყეში, ეს წუმპესავით თბილი წყალი არ ვხვრიპო, მაგრამ ახია ჩემზე!..

წავიდა ბელი და უგულოდ მიეგდო თივაში. იმ თივასაც ტყისა და დედის სუნი ასდიოდა.

უჩუმრად, დინჯად ამოცურდა ნავახშმევს მთვარე. სადგომში შეანათა. ბელმა ერთი შებღავლა მთვარეს და კარი დატორა.

ოჰ, საკვირველებავ! ერთიც ვნახოთ და კარი გაიღო. ეზოში სიჩუმე იდგა. ბელმა გადააბიჯა ზღურბლზე, დრუნჩი ასწია მაღლა და დაყნოსა მიდამო.

„იჩქარე“,—ჩასჩურჩულა მთვარის შუქმა.

აყეფდნენ ძაღლები, მაგრამ ზოგი დამწყვდეული იყო, ზოგი ება. მწევრებს თავის წამოწევა დაეზარათ. პატრონებმა იფიქრეს, ისევ ბელს უბრაზდებიანო და, გვერდი იბრუნეს.

ბელი კი მთვარის შუქს მისდევდა ძუნძულით.

სულ ცოტა და სამშვიდობოზე გავიდა. მთვარე უცინოდა, თავს დაჰკაშკაშებდა და იმედიანად უნათებდა გზას.

ტყეში მწიფე პანტისა და მაყალო ვაშლის სუნი იდგა. ბრილოდა, დაბლა რუ ქვიდან-ქვაზე ჩუხჩუხით განაგრძობდა გზას. რუ დაღონებულ დათვს წამოეწია, ერთ დიდ ქვაზე შეჩერდა და შესჩუხჩუხა—არსად წახვიდე, აქ ქვაზე ჩამოჯექი, შენი ბელი დაგეძებს და საცაა გამოჩნდებაო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქათმეში

ვახტანგ გოგოლაშვილი

აბა დელია, დელია,
ამბის მოყოლა ძნელია,
ბატის ბატარა ჭუჭული
წააცუნცულა მელიამ.
დედა-ბატს ასვეს კოკებით
გულისტკივილის წამალი,
— შემოდით საქათმეშიო, —
ხმამაღლა ყივის მამალი,
ასე შიშით და ვაებით
მუდამ სიცოცხლე ძნელია,
ვიდრე გავმწყდარვართ ფრინველნი,
გავასამართლოთ მელია! —

მამლაყინწამ თქვა: — წესრიგი
დღეს უნდა გვქონდეს საქმე,
სულ რიგრიგობით წარმოსთქვით,
თუკი რამე გაქვთ სათქმელი. —

ინდაურმა თქვა:
— რა გითხრათ, —
ჩვენი პატრონის ბრალია,
ვერ დაუხურავს საქათმე,
და ვერც მოუწნავს გალია:
თოფი არც იცის სადა აქვს,
მგონი ბუმბულში დამალა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამდენი სული დაგვყარა
მძინარა მურას ამარა.

სიცილით კვდება დედალი:
„რა გეხუმრება ნეტაო,
თოფი ბეღელში უგდია,—
ჩახმახი უჟანგდებაო,
თუნდ მუგუზალი დაადო,
მაინც არ გავარდებაო“!—

იხვმა ატეხა ვახვახი:
— რა გავაკეთო მარტომო,
სანამ შეგეჭამდნენ, ბიძია,
საქმეს მიგხედოთ, ბატონო!—

ფეხზე წამოდგა ვარია,
ყელი რომ ჰქონდა შიშველი,—
— ამ საქმეს თვითონ მიგხედოთ,
სხვა ველარავინ გვიშველის.

— კრუხ,—ხარიხაზე ჩამოსხდნენ
ხანშიშესული კრუხები,—
— დებო, რაიმე ვიღონოთ,
თორემ ძალიან ვწუხდებით!
— აბა, რა ღმერთი გაგვიწყრა,
მტერი ვერ მოვიგერიოთ,
ჩავუხტეთ მელაკუდასა,
თავს დავაქციოთ ჭერიო!

ქათმებმა ტაში შემოჰკრეს,
ატეხეს ფრთების ფართქალი.
ყველას ჭკუაში დაუჯდა
ამ ორი კრუხის ნათქვამი.
ზოგმა ესა თქვა, ზოგმა ის,
აუწყლიანდათ თვალები,
გადაწყდა მელას გათოკვა,
შეერთებული ძალებით.
— აბა, წავიდეთ!—თქვა ერთმა,
— ბოლი ვადინოთ მელიას,—
ყველა დაფრთხა და გაიქცა...
აბა დელია, დელია...

ნახატები ედუარდ ამბროკაძისა

სავარჯიშო

თავსაჯვეხი

ცარიელი უჯრედები შეავსეთ ხეების სახელებით.

შეადგინა გორის რაიონის სოფ. ზეღდუღეთის საშ. სკოლის მოსწავლემ **ლიანა გოგიძემ.**



რებუსი

შეადგინა ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელიის საშ. სკოლის მოსწავლემ **ნათელა ანანიაშვილმა.**

მთავარი რედაქტორი ვუხტანგ ვასაძარიანი

სარედაქციო კოლეგია: აკაური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლომლაბ, ზურაბ ლომელიძე, მაყვალა მრევლიშვილი, იორამ ქემარტლელიძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (საპს. რედაქტორი), გივი ძნელაძე

ხელ. ლლაკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული ფაზრე ნახატი ზაურ ფეიხაძისა

ჟურნალი 48-ე წელი.

ტექნიკური რედაქტორი ბ. რობინიშვილი

ხელ. ლკ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК ЛКСМ Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; საპს. რედაქტორის —93-98-18; გაბარ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 22/II-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-73 წ., კალაფდის ზომა 60×90¹/₁₆ ფიზ. ნაბ. თერც. 2ბ, ტირაჟი 159.700. შეკვ. № 683. „Дидэ" № 6. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

653/117